საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

მარიკა არევაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

მარინე ცუცქირიძე - კოლეგიის წევრი

ინგა ნებიერიძე - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: მ. ქ., მ. ჟ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 10.07.2020

საჩივრის რეგისტრაციის № 060/20

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ დ. მ.-ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ დ. მ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2020 წლის 10 ივლისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართეს მ. ქ.-მა, მ. ჟ.-მა და მოითხოვეს ადვოკატ დ. მ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორთა განმარტებით, მ. ქ.-ს აქვს სამოქალაქო დავა საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით (ქონების მისამართია - თბილისი, N---). მისი პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარეა მისივე და - გ. ქ.. საქმის სასამართლოში განხილვის შემდეგ, რომელიც მ. ქ.-ის სასარგებლოდ დასრულდა, მოსამართლემ გამოსცა სააღსრულებო ფურცელი. მიუხედავად ამისა, გ. ქ. არ ასრულებს სასამართლოს განჩინებას.

1.3 სასამართლოს განჩინების შეუსრულებლობის შედეგად გ. ქ.-ის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის N--- საქმე, სადაც გ. ქ.-ის ინტერესებს იცავს ადვოკატი დ. მ..

1.4 საჩივრის ავტორთა განმარტებით, 2019 წლის 25 ნოემბერს, ადვოკატმა დ. მ.-მა გ. ქ.-ს პოლიციაში დააწერინა განცხადება მ. ქ.-ის და მისი შვილის მიმართ შემაკავებელი ორდერის გამოცემის თაობაზე. აღნიშნული განცხადება პოლიციაში შეტანილი იყო იმ საფუძვლით, რომ თითქოს, 2019 წლის 21 ნოემბერს მ. ქ.-მა და მისმა შვილმა გ. ქ.-ზე განახორციელეს თავდასხმა და მას მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა. თუმცა, საჩივრის ავტორთა განმარტებით, 2019 წლის 21 ნოემბერს მათ გ. ქ. საერთოდ არ უნახავთ. შესაბამისად, ადვოკატი დ. მ.-ის და გ. ქ.-ის განცხადება თავდასხმის შესახებ იყო ცრუ ინფორმაცია. პოლიციაში განცხადების დაწერის შემდეგ, გამომძიებლის მიერ ჩატარდა მოწმის გამოკითხვა და საგამოძიებო ექსპერიმენტი, რომლებსაც ხელს აწერს ადვოკატი დ. მ.. ამ ყველაფრის შედეგად კი პოლიციამ მ. ქ.-ისა და მისი შვილის მიმართ გამოწერა შემაკავებელი ორდერი. შემაკავებელი ორდერის გამოცემის შემდეგ მ. ქ. და მისი შვილი დარჩნენ საცხოვრებლის გარეშე და დასჭირდათ ბინის ქირავნობა.

1.5 2020 წლის 31 მაისს, ნაქირავები ბინის მესაკუთრემ, მკაცრად მოსთხოვა მ. ქ.-ს ბინის დაცლა, ამიტომ მ. ქ.-მა გადაწყვიტა თავისი ნივთები შეენახა მის საკუთრებაში არსებულ სარდაფში, მდებარე N---ში. თუმცა ადგილზე მისულს დახვდა გ. ქ. და მის მიერ გამოძახებული ხელოსანი, რომლებიც ცვლიდნენ სარდაფის კარის საკეტს. ამის გამო, მ. ქ.-მა გამოიძახა საპატრულო პოლიცია, თავის მხრივ კი გ. ქ.-მა დაურეკა თავის ადვოკატს დ. მ.-ს.

1.6 საჩივრის ავტორთა განმარტებით, ადგილზე მისულ საპატრულო პოლიციას დახვდა ადვოკატი დ. მ., რომელიც თავიდანვე ცდილობდა პოლიციისთვის ცრუ, ცილისმწამებლური და შეურაცხმყოფელი ინფორმაციის მიწოდებას მ. ქ.-თან მიმართებით. ადვოკატი დ. მ. ქუჩაში, ხალხის თვალწინ ყვიროდა, რომ მ. ქ. არის მოძალადე, საშიში და სხვ. აყენებდა მას სიტყვიერ შეურაცხყოფას, უცენზურო სიტყვებით ლანძღავდა და ცდილობდა მის პროვოცირებას, ასევე ემუქრებოდა ფიზიკური ანგარიშსწორებით. ხოლო სიმშვიდისკენ მოწოდების შემდეგ, ადვოკატი დ. მ. უფრო გაღიზიანდა და დაიწყო გინება მ. ქ.-ის მიმართ.

1.7 საპატრულო პოლიციის ეკიპაჟმა შეადგინა რეაგირების ოქმი, სადაც მიუთითა ადვოკატ დ. მ.-ის მონაცემები მისი ორდერის მიხედვით. საპატრულო პოლიციის წასვლის შემდეგ, მ. ქ.-სა და ადვოკატ დ. მ.-ს შორის ისევ გაგრძელდა სიტყვიერი შელაპარაკება, ადვოკატმა დ. მ.-მა გამოუძახა საპატრულო პოლიციას და ადგილზე მივიდა იგივე საპატრულო ეკიპაჟი, რომელიც იყო პირველ ჯერზე მისული, რის გამოც ადვოკატმა დ. მ.-მა გამოხატა უკმაყოფილება. მიუხედავად ადვოკატ დ. მ.-ის მოთხოვნისა, ამ შემთხვევისას მ. ქ.-ისა და მ. ჟ.-ის მიმართ, შემაკავებელი ორდერი არ გამოწერეს.

1.8 საჩივრის ავტორთა განმარტებით, ადვოკატმა დ. მ.-მა დაარღვია პროფესიული ეთიკის ნორმები, რის გამოც მას უნდა შეუწყდეს საადვოკატო საქმიანობის უფლება.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა დ. მ.-მა განმარტა, რომ ის არის გ. და მ. ქ.-ების მეზობელი და გ. ქ.-ს იცავს სისხლის სამართლის საქმეზე. მან განსახილველ საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ ერთ დღეს, მას გ. ქ.-მა თხოვა მასთან სახლში ასვლა, სადაც იგი დახვდა დალურჯებული. გ. ქ.-მა განუმარტა, რომ იგი იყო ძალაყინით ნაცემი. იმის გამო, რომ გ. ქ. არის მისი მეზობელი,

სრულიად უანგაროდ დაეხმარა ამ შემთხვევის შედეგად წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეში.

2.2 ადვოკატის განმარტებით, მ. ქ. ხშირად მიდის გ. ქ.-ის საცხოვრებელ სახლში და ხდება კონფლიქტი.

2.3 ადვოკატის განმარტებით, ერთ დღეს, როდესაც მ. ქ. კიდევ ერთხელ მივიდა გ. ქ.-თან, გ. ქ.-მა დაურეკა ადვოკატ დ. მ.-ს, რომელიც კლიენტის თხოვნით მივიდა მასთან. ადგილზე დასჭირდა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟის გამოძახება, თუმცა საპატრულო პოლიციის მოსვლამდე, მ. ქ. წავიდა. ამავე საღამოს, დაახლოებით 8 საათზე, მ. ქ. კვლავ მივიდა გ. ქ.-ის სახლში და ამჯერად საპატრულო ეკიპაჟი გამოიძახა თავად მ. ქ.-მა.

2.4 ადვოკატის განმარტებით, მ. ქ.-ს უნდოდა იმ სარდაფში შესვლა და ნივთების შენახვა, რომელიც მამამისმა ჯერ კიდევ თავის სიცოცხლეში გაყიდა. მთლიანობაში, ადგილზე შეიქმნა არეული სიტუაცია, რაც გაგრძელდა ღამის პირველ საათამდე, ამიტომ ადვოკატმა დ. მ.-მა, რომელიც იმ მომენტში გაღიზიანებული იყო, პატრულს თხოვა დროულად შეევსო რეაგირების ოქმი და დაესრულებინათ ყველაფერი.

2.5 ადვოკატის განმარტებით, მ. ქ. მას აყენებდა სიტყვიერი შეურაცხყოფას, უწოდა „აშარაშკა“, რის გამოც მან დავიდან დარეკა 112-ში, სადაც დააფიქსირა სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტი და მასთან მივიდა უკვე იქ არსებული საპატრულო პოლიციის ეკიპაჟის მეთაური. მან იქ მყოფებს სთხოვა სიტუაციის დროულად მოგვარება და ადვოკატ დ. მ.-ს შესთავაზა რეაგირების ოქმში დაეფიქსირებინა, რომ პრეტენზია არ ქონდა აღნიშნულ სიტუაციაში, რაზეც ადვოკატი დ. მ. დათანხმდა.

2.6 ადვოკატმა დ. მ.-მა განმარტა, რომ მისი მხრიდან რაიმე სახის შეურაცხყოფას მ. ქ.-ის მიმართ არ ჰქონია. იგი კონფლიქტში უფრო საპატრულო პოლიციასთან შევიდა და არა მ. ქ.-თან, რადგან სურდა ინციდენტი დასრულებულიყო დროულად.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი დ. მ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/ სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი.

3.2 მ. ქ.-მა და მ. ჟ.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართეს 2020 წლის 10 ივლისს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელებულია 2020 წელს. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატ დ. მ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონითა (მუხლი 32) და დებულებით (მუხლი 30.1) გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. **სამართლებრივი შეფასება:**

5.1 საჩივრის ავტორების პრეტენზია ადვოკატ დ. მ.-ის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა მ. ქ.-ს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა - მოიხსენია უცენზურო სიტყვებით და შეაგინა.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ დ. მ.-ის მიერ შემდეგი მუხლის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (აპეკ) მე-9 მუხლის მე-4 ნაწილი: ,,ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან, აგრეთვე არბიტრაჟთან და ნებისმიერ სხვა პირთან, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას".

5.3 კომისიის შეფასებით, კლიენტის ინტერესის წარმოდგენისას ადვოკატმა არ უნდა გამოიჩინოს უპატივცემულობა პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარისადმი. ამ ნორმის მიზანია მართლმსაჯულების პროცესისადმი ხელშეწყობა და ადვოკატის პროფესიის რეპუტაციის ზრდა. ვიწრო განმარტებით აღნიშნული ეხება პროცესის მხარეებს, მოწმეებს, თარჯიმნებს, სპეციალისტებს და ა.შ., ასევე პროცესზე დამსწრე პირებს. მოწინააღმდეგე მხარის პატივისცემის ვალდებულება მოიცავს მისთვის შეურაცხყოფის მიყენების დაუშვებლობას, მისი საპროცესო უფლებების დარღვევის აკრძალვას, მისდამი მუქარის დაუშვებლობას.

5.4 ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში R.S and Z v Switzerland (განაცხადი N10414/83, 1984 წლის 01 ოქტომბრის გადაწყვეტილება) აღნიშნა: „პროფესიული ვალდებულებები და პასუხისმგებლობა ადვოკატს ნებას არ რთავს გააკეთოს სუბიექტური, არაგონივრული და შეურაცხმყოფელი განცხადებები იმგვარად, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს მთელი ადვოკატთა კორპუსის საიმედოობა და ეთიკურობა."

5.5 მოწინააღმდეგე მხარესთან ურთიერთობისას, ადვოკატს აქვს უფლება თავისი პოზიცია, მოსაზრება გამოხატოს კრიტიკულად და ხისტად. თუმცა, ადვოკატის მიერ წარმოთქმული სიტყვები თუ დაწერილი ტექსტი არ უნდა ცდებოდეს გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროს და არ უნდა იყოს შეურაცხმყოფელი ხასიათის. პროცესუალური მოწინააღმდეგის მიმართ გამოთქმული ფრაზეოლოგია უნდა შეფასდეს პროფესიული მიზნიდან გამომდინარე - ფრაზას უნდა ჰქონდეს საქმიანი დანიშნულება და უპირატესად, კლიენტის ინტერესის დაცვის მიზანი.

5.6 „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-16 მუხლის მიხედვით „დისციპლინური წარმოების მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებით გაეცნონ საქმის მასალებს და გადაიღონ მათი ასლები, განაცხადონ აცილებები, წარადგინონ მტკიცებულებები, ეთიკის კომისიას მიმართონ შუამდგომლობებით, მისცენ ახსნა-განმარტებები და წარადგინონ საკუთარი მოსაზრებები დისციპლინური წარმოების დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე", ხოლო ამავე დებულების მე-17 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „მტკიცებულებებს დისციპლინურ კოლეგიას წარუდგენენ მხარეები". საქმისწარმოების საპროცესო ეტაპზე, ეთიკის კომისია

გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს მხარეთა პოზიციებიდან და მათ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან გამომდინარე.

5.7 ეთიკის კომისია ეყრდნობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განჩინებას №2b/183-11, რომლის მიხედვით ,,მტკიცების ტვირთს მატერიალური კანონი განსაზღვრავს, კერძოდ, ეს ის შემთხვევებია, როდესაც კანონით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებობის პრეზუმფცია მოქმედებს, ხოლო კანონით გათვალისწინებული შემადგენლობისგან განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი იმას ეკისრება, ვინც საკანონმდებლო წესრიგიდან არსებულ გადახრას ამტკიცებს.“ შესაბამისად, ვინაიდან ადვოკატი ადვოკატი დ. მ. მის მიერ მომჩივანისათვის შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს სადავოდ ხდის, მის მიერ მ. ქ.-ისათვის შეურაცხყოფის მიყენების ფაქტის მტკიცების ტვირთი აკისრია მ. ქ.-ს.

5.8 წარმოდგენილი მასალებით და კოლეგიის წინაშე გაკეთებული განცხადებებით დასტურდება, რომ ადვოკატი დ. მ. კონფლიქტის ადგილზე იმყოფებოდა პროფესიული საქმიანობის განხორციელების მიზნით - ის წარმოადგენდა კლიენტის, გ. ქ.-ის ინტერესებს.

5.9 მ. ქ.-მა კომისიას წარმოუდგინა მტკიცებულება - საპარტულო პოლიციის ეკიპაჟის ვიდეო/აუდიო ჩანაწერი. კამერების ჩანაწერები არ არის სრულყოფილი და დანაწევრებულია. ჩანაწერის შეფასებისას, გამოიკვეთა რომ ადგილი ჰქონდა კონფლიქტს, სადაც ჩართული იყვნენ მ. ქ., გ. ქ., გ. ქ.-ის ადვოკატი დ. მ. და საპატრულო პოლიციის თანამშრომლები. რადგან შემთხვევა გაგრძელდა რამდენიმე საათის განმავლობაში, ადვოკატი დ. მ. იყო გაღიზიანებული და ხმამაღალი ტონალობით მოითხოვდა შესაბამისი ოქმის შედგენას და კონფლიქტის ამოწურვას. ვიდეო ჩანაწერში ადვოკატის მიერ, მ. ქ.-ის მიმართ უცენზურო სიტყვების ან გინების ფრაზეოლოგია არ ისმის. საქმეში ასევე წარმოდგენილია 2020 წლის 31 მაისის საპატრულო პოლიციის რეაგირების ოქმი, სადაც აღნიშნულია, რომ მხარეებს ერთმანეთისათვის ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ. ოქმს ხელმოწერით ადასტურებს როგორც ადვოკატი დ. მ., ასევე მხარე - მ. ქ..

5.10 კოლეგიის შეფასებით, მომჩივანს კოლეგიისათვის არ წარმოუდგენია ცხადი და დამაჯერებელი მტკიცებულება ან მათი ერთობლიობა, რომელიც სადავო ფაქტს დაადგენდა, კოლეგიამ იმსჯელა წარმოდგენილი ვიდეო ჩანაწერით, რომელზეც არ ფიქსირდება ადვოკატ დ. მ.-ის მხრიდან განმცხადებლების მიერ მითითებული ფრაზების წარმოთქმა.

5.11 მოცემულ შემთხვევაში, საპროცესო კოლეგიის შეფასებით, არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა ადვოკატ დ. მ.-ის მიმართ, რადგან მის ქმედებაში ეთიკური გადაცდომის ჩადენა არ დასტურდება.

5.12 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32–ე, 33–ე მუხლებით; დებულების 30.2, 40.1 მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №060/20 ადვოკატ დ. მ.-ის მიმართ /სიითი №/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /მარინე ცუცქირიძე/

კოლეგიის წევრი: /ინგა ნებიერიძე/